როგორ მოვახდინოთ დროის ეფექტურად მართვის ხელშეწყობა საგაკვეთილო პროცესში საშუალო საფეხურზე

პედაგოგიური კვლევა

ნინო დანელიშვილი

თბილისი, 2017-2018

სარჩევი

შესავალი……..გვ.3 თავი I ……..გვ. 5

ლიტერატურის მიმოხილვა……..გვ. 5

1.1 დროის სწორად განაწილებისთვის საჭირო რჩევები……..გვ. 6
1.2 რატომ უნდა დავგეგმოთ გაკვეთილი?.....გვ. 7
1.3 როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი?.....გვ. 7
1.4 გაკვეთილის გეგმის კომპონენტები……..გვ. 8
თავი II ……..გვ. 10
კვლევის მეთოდები……..გვ. 10
თავი III ……..გვ. 11
კვლევის ეტაპების აღწერა ……...გვ. 11
თავი IV ……..გვ. 16
ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება……..გვ. 16
თავი V ……..…..გვ. 17
ინტერვენციის შეფასება ……..…..გვ. 17
დასკვნა……....გვ. 20
რეკომენდაციები ……..…..…..გვ. 21
რეფლექსია ……..…..…..…

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის 84-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა ამავე სკოლის პედაგოგის ნინო დანელიშვილის მიერ მე-10 კლასში. საკვლევი საკითხი იყო დროის მართვის გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების მიმოხილვა, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები:

- პრობლემის იდენტიფიცირება;
- პრობლემის გამომწვევი მიზეზები;
- ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების და ინტერვენციების შეფასება.

კვლევის პრობლემას წარმოადგენს არსებული რეალობა, რაც მდგომარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომისადმი პედაგოგთა და მოსწავლეთა არც თუ ენთუზიაზმით აღსავსე დამოკიდებულებაში. მათი მენტალიტეტის შეცვლა რთული და დრო-ტევადი პროცესია.

კვლევაში აღწერილია სტრატეგიები, რომლის გამოყენებაც ეფექტურად მივიჩნიე. პრობლემის კვლევისა და ინტერვენციის ანალიზმა მომცა საშუალება შემემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ჩემი აზრით გააადვილებს სამუშაო პროცესს და დროის მართვა გახდება უფრო ეფექტური.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია განხილულ იქნა ჯონ დიუის ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა 1956 წელს (O'Sullivan, 2003), სწორედ ეს პერიოდი გახდა დასაბამი მასში წარმოდგენილი თეორიის მეტ-ნაკლებად განხორციელებისა. დღესდღეობით ეს არის ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტერმინი და განათლების სისტემის საფუძველი.

კვლევაში წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ეფექტურობა გაიზრდება, თუ მასწავლებელი შეძლებს სწავლების განსხვავებული სტრატეგიებისა თუ მიდგომების გამოყენებით მოსწავლეთა ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდას და ასევე დეტალურად გააანალიზებს საგაკვეთილო პროცესს.

დროის ეფექტურად მართვა საგაკვეთილო პროცესში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს განათლების სისტემაში. სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებული მსვლელობა მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. დროის ეფექტურად განაწილება თანამედროვე მასწავლებლისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად ითვლება.

ჩემი კვლევის მიზანი იყო მე-10 კლასში საგაკვეთილო პროცესში დროის ეფექტურად განაწილების პრობლემის გადაჭრა, ვინაიდან ეს პრობლემა ჩემთვისაც აქტუალური

იყო, დავინტერესდი და გადავწყვიტე გამომეკვლია, თუ რა იწვევს დროის უკმარისობას საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და როგორ შეიძლება განვახორციელო დროის მართვის მოდელირება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს. მნიშვნელოვანი იყო დამედგინა რა გავლენას ახდენს დროის მენეჯმენტი საგაკვეთილო პროცესის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, შევიმუშავე დროის მართვის ეფექტური სტრატეგიები, გავეცანი დროის მართვასთან დაკავშირებულ გავრცელებულ შეცდომებს, რომლებიც დამეხმარა მიზნის მიღწევაში, გამომეკვლია პრობლემის გამომწვევი მიზეზები საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, კერძოდ 10 კლასში.

კვლევის მიზნები ასე ჩამოვაყალიბე-

- დროის მართვა და მისი ოპტიმალურად გამოყენება;
- მასწავლებლის მიერ მის ხელთ არსებული დროის კონტროლი, მართვა - დროის დაზოგვა, თითოეული წუთის კონტროლზე აყვანა და დროის ფუჭად დაკარგვის თავიდან აცილება;
- დროის პროდუქტიულობის გაზრდა - ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდა.

მიზნების ფორმულირება უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა პერსპექტივიდან, ასახავდეს იმ კონკრეტულ შედეგებს, რომლებსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევის ფარგლებში გამოვიყენე შემდეგი მეთოდები:

- ზემოთხსენებულ კვლევის თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი;
- მასწავლებლის და მოსწავლეთა კითხვარები;
- მასწავლებლებთან თანამშრომლობა, მათი დასწრება უშუალოდ ჩემს გაკვეთილებზე პრობლემის მიზეზების დასადგენად, დაკვირვების წარმოება და უკუკავშირი;
- ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები/რეკომენდაციები;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ორ კოლეგასთან-გამოცდილების გაზიარების და დახმარების მიზნით;

ნაშრომი შედგება 5 თავისაგან.

თბილისის 84-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევა დამეხმარება მე, როგორც ამ სკოლის მკვლევარ პედაგოგს, სკოლის პედაგოგებს, ასევე მნიშვნელოვანი იქნება განათლების სფეროს სხვა წარმომადგენლებისთვის და მათთვის, ვინც მსგავსი ტიპის კვლევის ჩატარებას აპირებს აღნიშნულ საკითხზე.

თავი I
ლიტერატურის მიმოხილვა

დრო მნიშვნელოვანი რესურსია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ სტრუქტურირებულ გარემოში, როგორიც სკოლაა.
მასწავლებლები ყოველდღიურად ცდილობენ მათ ხელთ არსებული დროის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემისა და უნარების განვითარების ხელშესაწყობად.
წარმატებული მასწავლებლის მიზანია, სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული მისთვის განსაზღვრული დრო და რაც მთავარია, ხელი შეუწყოს ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდას.
ეფექტური დაგეგმვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აკონტროლებდეს, მართავდეს მის ხელთ არსებულ დროს. დროის 'გაფლანგვის' პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, პედაგოგმა დეტალურად გააანალიზოს საგაკვეთილო პროცესი.
ჟან პიაჟეს (Piaget,1970) მოსაზრების თანახმად, ადამიანის განვითარების ფორმალურ ოპერაციულ სტადია (12 წლიდან: აბსტრაქტული აზროვნება, ჰიპოთეტურ დედუქციური აზროვნება) არის ასაკი, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ აბსტრაქტული აზროვნება, ისინი მარტივად იმახსოვრებენ ინფორმაციას და ავლენენ ლოგიკური აზროვნების უნარს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უფროსკლასელები მიეკუთვნებიან კოგნიტური განვითარების სწორად ამ საფეხურს.
საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში მთავარი საკითხები კურიკულუმის შედგენა, აკადემიური მასალის მოსწავლის ინტერესებსა და უნარებზე მორგება და თვითმენეჯერებად გახდომაში მათი დახმარებაა. მეტი დრო - სწავლას. თუ განვსაზღვრავთ დღის განმავლობაში თითოეული აქტივობისთვის დათმობილ დროს, გაგიკვირდებათ, რომ აღმოაჩენთ, რა ცოტა დრო ეთმობა აქტუალურ სწავლებას. ყოველდღიურად უამრავი დრო იკარგება შეწყვეტინების, ხელის შემშლელი ფაქტორების, დაგვიანებული დასაწყისის, უხეში ცვლილებების გამო. სწავლისა და მასზე დახარჯული დროის შემსწავლელმა თითქმის ყველა კვლევამ აღმოაჩინა მკაფიო კავშირი დახარჯულ დროსა და მოსწავლის სწავლას შორის. საკლასო მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიზანია, სწავლისთვის რეალურად დათმობილი დროის გაზრდა და სასწავლო დროის გაზრდა ღირებულ და ადეკვატურ აქტივობებში მოსწავლეების აქტიური ჩართვით. ჩავრთოთ მოსწავლეები სწავლაში უნდა დავრწმუნდეთ, თითოეულმა მოსწავლემ იცის როგორ მიიღოს მონაწილეობა საკლასო აქტივობაში. საკვანძო საკითხია გაცნობიერება. ასევე დავეხმაროთ მოსწავლეებს საკუთარი თავის უკეთ მართვაში. თვითკონტროლით მოსწავლეები პასუხისმგებლობის დემონსტრირებას ახდენენ. მოსწავლეები თვითკონტროლს არჩევანის გაკეთებით და

ამ არჩევანის შედეგებთან გამკლავებით, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან ნდობის დამყარებით სწავლობენ. თვითმენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ მოსწავლეთათვის იმის სწავლება, როგორ იკისრონ პასუხისმგებლობა, გარჯად ღირს.

ეფექტური მასწავლებლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებია: სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და გამოყენება, სასწავლო გეგმების მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე და კლასის ეფექტურად მართვა.

საგაკვეთილო პროცესში დროის სწორი განაწილება კლასის ეფექტურად მართვის საფუძველია. კვლევები ადასტურებენ, რომ დროის ეფექტური განაწილებისთვის საჭიროა:

- საკლასო წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბება და დანერგვა;
- საზღვარი დისციპლინის დარღვევასა და კარგ ქცევას შორის;
- თანამშრომლობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის;
- მასწავლებლის მენტალური მზაობა: გონებრივი სიფხიზლე და ემოციური ბალანსი.

1.1 დროის სწორად განაწილებისთვის საჭირო რჩევები

გაკვეთილის პირველი და ბოლო წუთები მოსწავლეს ყველაზე უკეთ ამახსოვრდება. ამიტომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დროის სწორედ ამ ორ მონაკვეთს უნდა მიაქციოს. აქ ნაგულისხმებია დროის მოკლე მონაკვეთები, დაახლოებით 5 წუთი. როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ეს წუთები? პირველ ყოვლისა, ეს წუთები უბრალოდ არ უნდა გაფლანგოს. თუკი შესაძლებელია, არ უნდა მოახმაროს ორგანიზებასა და მენეჯმენტს _ ნამუშევრების თავმოყრას, ავეჯის დალაგებას, ბავშვების ადგილებზე დასმას, დაგვიანებულთა ლოდინს.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მოსწავლეების უფლებების გაზრდამ, ზრუნვის მექანიზმების გაძლიერებამ და სხვადასხვა ტიპის გამოწვევებმა ჩამოაყალიბა თავისუფალი, კრიტიკული, ინფორმირებული ახალგაზრდობა. მათ სჭირდებათ ,,თანამედროვე'', აქტიური, მომზადებული პედაგოგი, რომელიც დროში გაწერილი აქტივობებით შეძლებს გაკვეთილის მიზნის მიღწევას მოსწავლეების მაქსიმალური დაინტერესებით.

,,თანამედროვე'', აქტიური, მომზადებული პედაგოგი მართავს გაკვეთილს დროის ეფექტურად განაწილების დახმარებით, რისი წინაპირობაც გაკვეთილის სწორად დაგეგმვაა. არაერთი კვლევა ჩატარებულა და ლიტერატურა შექმნილა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს გაკვეთილი, რა სარგებლობასთან / სირთულეებთან არის გაკვეთილის დაგეგმვა დაკავშირებული და ზოგადად, რატომ უნდა დავგეგმოთ გაკვეთილი.

1.2 რატომ უნდა დავგეგმოთ გაკვეთილი?

გაკვეთილის გეგმა ეხმარება მასწავლებელს წინასწარ გაიაზროს გაკვეთილი, გადაჭრას შესაძლო სირთულეები, მოამზადოს გაკვეთილის სტრუქტურა და შექმნას ერთგვარი „რუქა“, რომლის საშუალებითაც გზას გაიკვლევს. გარდა ამისა, გაკვეთილის გეგმა მასწავლებელს საშუალებას აძლევს მუდმივი ჩანაწერი აწარმოოს იმის შესახებ, თუ რა ასწავლა მოსწავლეებს (Richards 1998).

პურგასონის მოსაზრებით (1991), გაკვეთილის დაგეგმვას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- გაკვეთილის გეგმა პედაგოგს ეხმარება უკეთ იფიქროს გაკვეთილის შინაარსზე, საჭირო მასალებზე, მიმდინარეობაზე, დროის მენეჯმენტსა და აქტივობებზე;
- კლასში მოულოდნელი ატმოსფეროს შექმნისას მასწავლებელს გეგმა ეხმარება, რომ დაიცვას ბალანსი;
- გაკვეთილის გეგმა წარმოადგენს თანმიმდევრულ ჩანაწერს იმის შესახებ, თუ რა ვასწავლეთ მოსწავლეებს;
- შემცვლელ პედაგოგს გეგმა ეხმარება გაკვეთილის კარგად ჩატარებაში, როცა ძირითად პედაგოგს არ შეუძლია გაკვეთილზე შესვლა (Purgason 1991).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პედაგოგმა შეიძლება გადაუხვიოს წინასწარ დაწერილ გაკვეთილის გეგმას ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა:

- გაკვეთილზე (მასწავლებლისა თუ მოსწავლის მიერ) წამოჭრილი დაუგეგმავი საკითხი, რომელიც იმ კონკრეტულ მომენტში განხილვას საჭიროებს;
- როცა პედაგოგი აღმოაჩენს, რომ მის მიერ შედგენილი გეგმა არ აკმაყოფილებს თითოეული მოსწავლის, როგორც ინდივიდუალური მსწავლელი ტიპის საჭიროებებს;
- როცა მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ერთვება საგაკვეთილო პროცესში;
- მასწავლებელს სურს, რომ გააააქტიუროს პასიური მოსწავლეები და შეასუსტოს აქტიური მოსწავლეების დომინირება

ეს ყოველივე ადასტურებს იმას, რომ მასწავლებლის მიერ გადაწყვეტილების მიღება დინამიური პროცესია, რომელიც მოიცავს არჩევანის გაკეთებას გაკვეთილამდე, გაკვეთილის მსვლელობისას და გაკვეთილის შემდგომ.

1.3 როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი?

გაკვეთილის დაგეგმვა პედაგოგებმა უნდა დაიწყონ საჭირო და ნათელი მიზნების დასახვით. მიზნების საშუალებით ვადგენთ - რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა, რა აქტივობები უნდა ჩავატაროთ, რაზე უნდა მოხდეს ფოკუსირება და როგორ წარიმართოს გაკვეთილი. ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები მოსწავლეებისთვისაც უკეთესია, რათა იცოდნენ - კონკრეტულად რას მოელიან მათგან პედაგოგები.

მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ, პედაგოგები წყვეტენ, რა აქტივობები უნდა ჩაატარონ, რათა წარმატებით მიაღწიონ დასახულ მიზნებს. ჰანთერი და რასელი (1977) დაგეგმვის შემდეგ მოდელს გვთავაზობენ:

1. პერსპექტივა / გახსნა - მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა ვისწავლეთ წინა გაკვეთილზე? რა აქტივობები ჩავატარეთ? შემდეგ იგი ახალი გაკვეთილის მოკლე მიმოხილვას აკეთებს.
2. სტიმულირება- პედაგოგი სვამს კითხვას, რათა დააფიქროს დაგეგმილ აქტივობაზე; ეხმარება, რომ აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებმა საკუთარ ცხოვრებას/გამოცდილებას დაუკავშირონ; იყენებს რაღაცას ისეთს, რასაც შეუძლია მათი ყურადღების მიპყრობა, მაგალითად: ანეკდოტს, სურათს, სიმღერას, და ა.შ; იწყებს აქტივობას.
3. ინსტრუქცია/მონაწილეობა - პედაგოგი ხსნის აქტივობის წესებს; ამოწმებს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა; მოსწავლეებს წაახალისებს, რომ მიიღონ მასში მონაწილეობა.
4. დასასრული - ამ ფაზაში პედაგოგი ამოწმებს - რა ისწავლეს მოსწავლეებმა და სამომავლო გაკვეთილების შესახებ მოკლედ საუბრობს.
5. დამატებითი ეტაპი - გაკვეთილის ბოლოს პედაგოგი დამატებით აქტივობებს იყენებს, რომ განამტკიცოს მოსწავლეებისთვის გადაცემული ცოდნა და/ან მიაწოდოს ახალი ინფორმაცია.ფარელი (2002)

ზემოთ ჩამოთვლილი რჩევები ყველა მათგანისთვის გამოსადეგი ვერ იქნება, რადგან ყველა მასწავლებელს ინდივიდუალური სწავლების სტილი აქვს. ამიტომ პედაგოგები უნდა იყვნენ მოქნილნი გაკვეთილის დაგეგმვისას.

1.4 გაკვეთილის გეგმის კომპონენტები

არ არსებობს გაკვეთილის გეგმის იდეალური ფორმატი, თუმცა რეკომენდებულია, რომ იგი შემდეგ კომპონენტებს მოიცავდეს (Ornstein 1997):

1) მიზნები - გაკვეთილის ხერხემალი! რომელიც გვიჩვენებს - რა უნდა მიიღონ/ისწავლონ მოსწავლეებმა გაკვეთილიდან. მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ფრაზებად, ისე კითხვებად. მთავარ მიზანს კი შესაძლოა ჰქონდეს ქვემიზნები.

2) მოტივაცია - გაკვეთილის დაგეგმვისას პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაციის ფორმები: შინაგანი მოტივაცია გულისხმობს მოსწავლეში უკვე არსებული ინტერესის გაძლიერებას. პედაგოგი ისე წარმართავს გაკვეთილს, რომ მოსწავლეებს გაკვეთილში მონაწილეობის სურვილი აღეძრათ: მიმართავს სიურპრიზის ეფექტს, ეჭვს ან დილემას; იყენებს თვალსაჩინოებებს, ფოტოებს, დიაგრამებს; წამოჭრის პრობლემას; გაკვეთილის თემას უკავშირებს მოსწავლეთა პირად გამოცდილებას; ატარებს თამაშებს, შეჯიბრებს და სხვა.

გარეგანი მოტივაციის გასაძლიერებლად ორნსტეინი (1997) პედაგოგებს ურჩევს გამოიყენონ:

- ნათელი მითითებები (მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რას ელიან მათგან);
- კონკრეტული დრო კონკრეტული დავალებისთვის;
- კოგნიტური გამოწვევები (არც უნდა აღემატებოდეს მათ უნარებს და არც ძალიან ჩამორჩებოდეს);
- სწრაფი უკუკავშირი (უკუკავშირი მოსწავლის აქტივობაზე);
- ხშირი ჯილდოები (ხშირად დაწესებული უმნიშვნელო ჯილდოები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე იშვიათი და მნიშნელოვანი);
- მაღალი მოლოდინები (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე, რომლისგანაც ელიან, რომ კარგად ისწავლის, მართლაც უკეთ სწავლობს, ვიდრე ის, ვისგანაც არ ელიან კარგად მეცადინეობას) (Ornstein 1997).

3) განვითარება - იგივეა, რაც გაკვეთილის მონახაზი, რომელიც თემებისა და ქვე-თემებისგან, ცენტრალური კითხვებისგან და/ან აქტივობებისგან შედგება (Ornstein 1997).

4) მეთოდები - ერთი და იმავე მეთოდებისგან შემდგარი სასწავლო პროცესი მოსაწყენი ხდება არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ თავად პედაგოგებისთვისაც. სწორედ ამიტომ ორნსტეინი (1997) პედაგოგებს ურჩევს: ხშირად მიმართონ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები მიღებულ ცოდნას საკუთარ ცხოვრებას დაუკავშირებენ; დასვან კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჯგუფური დისკუსიის უნარისა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას; მიმართონ დემონსტრაციებს, ექსპერიმენტებს, რომლის დროსაც მოსწავლეები შეაგროვებენ მონაცემებს, გაზომავენ, დააკვირდებიან და სხვა.

5) მასალები და მედია - მასალები ხშირად ინტერესს ჰმატებენ გაკვეთილს. შესაძლებელია ვიზუალური, საკითხავი, აუდიო, კონსტრუქციული მასალების გამოყენება (Ornstein 1997).

6) შეჯამება - ორნსტეინი (1997) პედაგოგებს ურჩევს, გაკვეთილის ბოლოს მოკლე მიმოხილვა გააკეთონ, რომლის დროსაც შეჯამდება ყველაზე მნიშნელოვანი ან რთული/ბუნდოვანი საკითხები: პედაგოგმა შეიძლება დასვას რამდენიმე პროვოკაციული შეკითხვა; სთხოვოს მოსწავლეებს, რომ ახლად ახსნილი მასალა შეადარონ განვლილს; დაფაზე ჩამოწეროს შემაჯამებელი საკითხები და სხვა.

7) დავალებები, ორსტეინის (1997) აზრით:

- უნდა იყოს საინტერესო;
- უნდა მოიცავდეს გარკვეულ პრობლემას;
- უნდა მოითხოვდეს ადრე ნასწავლი ცოდნის გამოყენებას;
- ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში გამოხატვის, კითხვის, წერის და სხვა მნიშენლოვანი უნარების განვითარებას (Ornstein 1997).

ამრიგად, ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე დროის ეფექტურად მართვა კლასის მართვის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც უმეტესწილად დამოკიდებულია პედაგოგის პროფესიონალიზმსა და გაკვეთილისთვის მომზადების ხარისხზე. ამ უკანასკნელის განხორციელებაში ძირითადი დამხმარე ინსტრუმენტია გაკვეთილის გეგმა.
მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შემიძლია აღვნიშნო, რომ დაგეგმილი გაკვეთილი ეხმარება მასწავლებელს ეფექტურად გაანაწილოს დრო საგაკვეთილო პროცესში.

თავი II
კვლევის მეთოდები

კვლევის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში დროის ეფექტურად განაწილების პრობლემის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდა სხვადასხვა მიმართულებით.

საკითხის შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ამ ტიპის მეთოდებით კვლევამ მომცა შესაძლებლობა მეტად რელევანტურად გამომეკვეთა ჩემთვის მნიშვნელოვანი ასპექტები და კვლევის პროცესში შემეტანა ცვლილებები კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე.
თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუ ამ კლასის მასწავლებლებთან. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე ანკეტირება, შერეული ტიპის კითხვარები (ღია და დახურული) და მონაცემთა ანალიზი.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, კვლევის პირველ ეტაპზე მოვახდინე დროის პროდუქტიულობის საჭიროებისა და მოლოდინების კვლევა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კუთხით სამიზნე ჯგუფის პოტენციალის შესწავლა. შემდეგ ეტაპზე დავამუშავე მოსწავლეებისგან მიღებული მონაცემები არსებული პრობლემის დონის დასადგენად და ბაზის შესაქმნელად. ხოლო დასკვნით ეტაპზე მოხდა შეგროვებული მასალის შედეგებისა და ეფექტურობის კვლევა.

კვლევის განხორციელებისას შესაძლო შეზღუდვა არ მქონია არც თანამშრომლების და არც მოსწავლეების მხრიდან კვლევის პროცესში მონაწილეობაზე.

თავი III
კვლევის ეტაპების აღწერა

პრაქტიკული კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა 84-ე საჯარო სკოლის მკვლევარი პედაგოგის მიერ საკუთარი პრობლემის წარმოჩენა საშუალო საფეხურზე კოლეგების მიმართ და მზაობა პრობლემის გადასაჭრელად გზების ძიების. დიდი ინტერესი და სრული თანადგომა იყო თანამშრომლების მხრიდან, წამოჭრილი პრობლემა ძალზედ აქტუალური აღმოჩნდა მათთვისაც, რადგან დაწყებითი საფეხურისგან განსხვავებით საშუალო საფეხურზე მეტად გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ინტერესები, მათი ჩართულობა სხვადასხვა კუთხით.

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ რასაც წინ უძღვოდა მეთოდოლოგიური ტრენინგები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაცნობის შესახებ, რამაც დიდი როლი ითამაშა კვლევის წარმოებაში, გავეცანი ეფექტური მართვის სხვადასხვა საშუალებებს და მასწავლებელთა ხედვას მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ასპექტზე კლასის მართვის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დროის მართვის პრობლემას.

მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება, რომ დროის მენეჯმენტი წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესის შემაფერხებელ ფაქტორს.

თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით გამოვიკვლიე საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ინტერესის სფეროში არსებული პრობლემის ხელშემწყობი და პრობლემური საკითხები. გამოცდილების გაზიარების და მათგან დახმარების მიზნით ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა 2 მასწავლებელთან, რომლებიც განსაკუთრებით გამოხატავდნენ მზაობას. ფოკუს ჯგუფისთვის და ინტერვიუსათვის წინასწარ მქონდა შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარები. (იხ. **დანართი 1.**)
ფოკუს ჯგუფის, ინტერვიუს ძირითადი კითხვები და კითხვარი ფოკუსირებული იყო შემდეგ თემებზე:

- გაკვეთილის დროის სწორად მართვა;
- გაკვეთილიოს ეფექტიანი დაწყება და დამთავრება;
- დროის დანაკარგის შემცირება აქტივობიდან აქტივობაზე გადასასვლელად;
- მოსწავლეთა წახალისება;
- მოსწავლეების დამოკიდებულება გაკვეთილის და მასწავლებელთა პოტენციალის მიმართ;
- მათი მზაობა და მოლოდინები გაკვეთილის მსვლელობისას;
- მათი მხრიდან პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

პირველ ეტაპზე გამოკითხვა ჩავატარე მე-10 კლასის მოსწავლეებთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25 ბავშვმა. აქედან 10 გოგო იყო, 15 ბიჭი. გამოკითხვა ეხებოდა ერთი გაკვეთილის შეფასებას, მოსწავლეთა მხრიდან თვითშეფასებას.
გამოკითხვის შედეგებით გავარკვიე, რომ გაკვეთილზე პირველი 5 წუთი არ მუშაობდა მოსწავლეთა 90%.



პირველი 10 წუთი არ მუშაობდა მოსწავლეთა 30 %



ბოლო 5 წუთი არ მუშაობდა 60 %.



შეკითხვაზე-" მე კარაგდ ვიმუშავე, როცა----------" 60% უპასუხა, რომ როდესაც მასწავლებელმა კონკრეტულად მას დაუსვა შეკითხვა და ასევე დავალება მისცათ შესასრულებლად.

ეს გამოკითხვა გავიმეორე კიდევ ერთხელ 1 კვირის ინტერვალით. პასუხები თითქმის ადეკვატური იყო. გაკვეთილზე პირველი 5 წუთი სრულიად უსარგებლოდ დაიხარჯა. არ მოხდა მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება. ძალიან სავალალო შედეგია თუ ამ 5 წუთს გადავამრავლებთ მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობაზე.

ფოკუს ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ როგორია მათი ხედვა მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ასპექტზე კლასის მართვის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დროის მართვის პრობლემას.

ფოკუს ჯგუფის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მოსწავლეებში გაკვეთილზე უკმაყოფილებას და უინტერესობას იწვევს ლექციური სახის გაკვეთილები, გაკვეთილების არაორგანიზებულობა, თანაკლასელების გამო ქცევით პრობლემებზე საგაკვეთილო დროის უსარგებლოდ ხარჯვა და სურვილი საინტერესო თემების შეთავაზების, საინტერესო მასალების მოძიების და მიწოდების შესახებ. ასევე, მოსწავლეების მოტივირება, მხარდაჭერა, რომ გარისკონ, გაანალიზონ და მიხვდნენ ცნების მნიშვნელობებს, მრავალფეროვანი და საინტერესო ავთენტური აქტივობების გამოყენება სხვადასხვა მიზნით, განსაკუთრებული აქცენტი ჯგუფურ მუშაობასა და წყვილებში მუშაობაზე. მასალის ადვილად ახსნა და სასწავლო სტრატეგიების გამოყენება, განსხვავებების ახსნა, სტრატეგიების შეთავაზება, რომლებიც გამოიყენება პრობლემის დასაძლევად.

84-ე საჯარო სკოლაში დროის მართვის პრობლემა საგაკვეთილო პროცესში დავიწროვდა საშუალო საფეხურზე მე-10 კლასზე.

კვლევის ეტაპი	**კვლევის მეთოდები**	**მეთოდოლოგიის მიზანი**	**სამიზნე ჯგუფი**
I ეტაპი პრობლემის იდენტიფიცირება	მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრა	საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება	84-ე საჯარო სკოლის საშუალო საფეხური. მე-10 კლასი
	გაკვეთილზე დაკვირვება (იხ. დანართი)	დროის ეფექტურად მართვის პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა.	მე-10 კლასი
	მოსწავლეთა გამოკითხვა	გაკვეთილზე დაკვირვების და მოსწავლეთა გამოკითხვის	მე-10 კლასი

		შედეგების მიმოხილვა, გამოვლენილი მიზეზების განხილვა	
II ეტაპი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება	ჩაღრმავებული ინტერვიუ მეათე კლასის 2 პედაგოგთან	ინტერვენციების დაგეგმვაში დახმარება კოლეგების მხრიდან. საკითხის განხილვა/განვრცობა	მე-10 კლასი
	ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან	განსაზღვრა, თუ როგორია მოსწავლეების ხედვა მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ასპექტზე კლასის მართვის საკითხებში, კონკრეტულად დროის მართვის პრობლემა	მე-10 კლასი
	ინტერვენციის ჩატარება 1 თვის განმავლობაში- საგაკვეთილო პროცესის დეტალური გაანალიზება, გაკვეთილების დაგეგმვა სწავლების განსხვავებული სტრატეგიებისა	შედეგიანი იქნებოდა ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდის მიზნით მოსწავლეთა ინტერესით, ჩართულობით.	მე-10 კლასი

	თუ მიდგომების გამოყენებით.		
	სამუშაო შეხვედრები - ჩატარებული ინტერვენციების განხილვა	განხორციელებული ინტერვენციების განხილვა და ხარვეზების გათვალისწინება შემდგომი ინტერვენციისთვის.	84-ე საჯარო სკოლის პედაგოგი და პედაგოგები
	გაკვეთილზე დაკვირვება 2	გაკვეთილის ეფექტიანობის განსაზღვრა წინა გაკვეთილებთან შედარებით.	მკვლევარი პედაგოგი
III ეტაპი შედეგების შეფასება	მკვლევარი პედაგოგის ანალიზი	ინტერვენციის განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების შეფასება.	მკვლევარი პედაგოგი

თავი IV
ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელი ვერ ახერხებს დროის ეფექტურად განაწილებას, რადგან:

- გაკვეთილის დროის თითქმის 10% იხარჯება კლასის მართვის საკითხების მოგვარებაში, რათა მასწავლებელმა უზრუნველყოს სწავლისთვის საჭირო პირობების შექმნა;
- ხშირია გაუთვალისწინებელი სიტუაციები, მოსწავლის უდისციპლინო საქციელი, რომელიც მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლეების ყურადღებას;
- ასევე როდესაც არ ხდება მოსწავლეთა ჩართულობა, პრეზენტაციისადმი მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობა, საკლასო ოთახიდან გასვლა/შემოსვლა, მოსწავლეთა შორის საუბარი.

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები: მოვახდინე საგაკვეთილო პროცესის დეტალური გაანალიზება. დავიწყე გაკვეთილის დაგეგმვა სწავლების განსხვავებული სტრატეგიებისა თუ მიდგომების გამოყენებით. აქცენტი გადავიტანე ისეთ აქტივობებზე, რომლებიც შედეგიანი უნდა ყოფილიყო ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდის მიზნით მოსწავლეთა ინტერესით, ჩართულობით, მსურდა გაკვეთილზე თითოეული წუთის ''გაფლანგვის'' მინიმუმამდე დაყვანა. მიზნების ფორმულირება მოვახდინე მოსწავლეთა პერსპექტივიდან. შევეცადე გამეზიარებინა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, კერძოდ: ეტაპობრივი სტრატეგიები, მოდელირება/დემონსტრირება, სიტუაციის პერიოდული მიმოხილვა, პროგრესის მონიტორინგი, დისკუსიები, მინი-ტესტი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობები, თანამშრომლობითი სწავლება.

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მასალის შერჩევაში. კერძოდ, მათ მივაწოდე თემა ორი გაკვეთილით ადრე და ვთხოვე მოეტანათ მათთვის საინტერესო წასაკითხი/მოსასმენი მასალა. ერთი გაკვეთილით ადრე მოსწავლეებმა მოიტანეს მათ მიერ შერჩეული ტექსტები, რომლებიც დავამუშავე (სიტყვები, განმარტებები, აქტივობები და შევთავაზე მოსწავლეებს, რათა მათ გაეკეთებინათ არჩევანი.

გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეებს შევთავაზე 3-4 ტექსტი მოკლე მიმოხილვით. ტექსტები შესაძლოა ყოფილიყო ილუსტრირებული, რათა მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ მათ შინაარსზე. ყველა ტექსტი წინასწარ დამუშავებული იყო მასწავლებლის მიერ, ამიტომ ტექსტის მოსწავლეების მიერ სპონტანური არჩევანი არ უქმნიდა პრობლემას მასწავლებელს.

ასევე მოვახდინე მოსწავლეების ჩართვა ტესტების შექმნის პროცესში და ქულების გამოთვლაში შეფასების რუბრიკის საშუალებით.

ტესტების შექმნა დავავალე კრეატიული საშინაო დავალების სახით. კლასში შესაძლებელი იყო ტესტების გაცვლა მოსწავლეებს შორის და ურთიერთშეფასება მათი გამოყენებით. რა თქმა უნდა ტესტების ფორმატი შეთანხმებული იყო, შევარჩიე საუკეთესო ვარიანტები პასუხებით, რათა შემემოწმებინა მეტი შესაბამისობა მოთხოვნებთან და შევქმენი ტესტი, რომელიც გამოვიყენე მოსწავლეების ცოდნის შესამოწმებლად. ვინაიდან ტესტის სრული შემადგენლობა წინასწარ იყო ცნობილი, მღელვარება და შიშის განცდა ნაკლები იყო.

რაც შეეხება შეფასების რუბრიკას, ჩემს მიერ შედგენილი ტესტის საფუძველზე შევადგინე შეფასების რუბრიკა, სადაც თითოეულ კრიტერიუმს ჰქონდა წონა (დატვირთვის დონე) და შესრულების დონეს შესაბამისი ქულა. მოსწავლეებს ავუხსენი ქულების გამოთვლის წესი, რაც ძალიან საინტერესო და სახალისო გამოდგა ბავშვებისთვის.

ასეთი შინაარსის გაკვეთილები ჩავატარე ერთი თვის მანძილზე გარკვეული ინტერვალებით. ვაწარმოებდი დღიურს რის საფუძველზეც შევძელი გამომეტანა დასკვნა ჩემს მიერ დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტიანობის შესახებ. მოსწავლეთა დამოკიდებულება და ხედვა შეიცვალა შემდეგი მიმართულებებით:

- დაქვეითდა შემდეგი აქტივობების მიმართ: წინადადებების ერთმანეთთან შესაბამისობა და ჭეშმარიტი /ცრუ წინადადებები.
- გაიზარდა შემდეგი აქტივობების მიმართ: ანალიზი, ცხრილების სევსება, შედარება, დისკუსია, წინადადებების შედგენა, მასალის ახსნა მოსწავლეების მიერ, წაკითხული/მოსმენილი ტექსტის გაგება, ტექსტის გააზრება, გონებრივი იერიში.

ძალიან მარტივად შესაძლოა აიხსნას ყოველივე: მოსწავლეებმა აქტივობების გამოყენება დაიწყეს გააზრებულად. მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს პასუხისმგებლობა მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე (მასალაზე), მოსწავლეებისთვის სახალისო იყო ყოველი ახალი აქტივობა.

თავი V
ინტერვენციის შეფასება

- სწორადაა თუ არა შემუშავებული პრობლემის გადაჭრის გზები;
- ამგვარი მიდგომებით ამაღლდება თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია;
- შეიძლება თუ არა ამგვარი ქმედებებით დროის მართვა გახდეს უფრო ეფექტური.

ჩემი კვლევა მთელი წელი მიმდინარეობდა.

ინტერვენციების ჩატარებისას ზემოთ აღნიშნული მიდგომები გამოვიყენე მოტივაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზის გამო. შედეგად:

- მოსწავლეებმა განიცადეს სიამაყის განცდა იმის გამო, რომ არიან ტესტის თანაავტორები;

- თავი არ უჩენია ეჭვს ტესტის ობიექტურობისა და სირთულის შესახებ;
- მოსწავლეებმა გააცნობიერეს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სწავლაზე, არამედ შეფასებაზეც .
- ასევე მოგეხსენებათ, შეფასების რუბრიკა ერთ-ერთი საკვანძო მომენტია მთლიან სასწავლო პროცესში, ამიტომ მოსწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია რუბრიკის ცოდნა, კარგად გააზრება, რადგან ამ შემთხვევაში ისინი არიან უფრო მეტად მოტივირებულები, მიზანდასახულნი, უკეთ ესმით წარმატებისთვის აუცილებელი მოთხოვნები და თვითონაც კი შეუძლიათ საკუთარი მიღწევებისა თუ პროგრესის გაზომვა.

კიდევ ერთხელ გამოყენე კითხვარი იმის დასადგენად თუ რამდენად რთულად, საინტერესოდ და სასარგებლოდ ჩათვალეს მათ სწავლისადმი ახალი მიდგომა. ბოლოს მიღებულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეებისთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. შემცირდა გაკვეთილზე უსარგებლოდ დაკარგული დრო და გაიზარდა ნაყოფიერი სწავლის დრო. იგივე კითხვარი გამოვიყენე, რაც კვლევის დასაწყისში, ამჯერად ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციების შესამოწმებლად. შედეგები შეიცვალა. მოსწავლეთა შეფასებით განსხვავებული მეთოდებით ჩატარებულ გაკვეთილებზე მოსწავლეები მუშაობდნენ ხალისით, იყვნენ მოტივირებულები და მათივე თქმით წამებს აკონტროლებდნენ აქტივობების მოსასწრებად და დროის უსარგებლოდ ხარჯვაზე, ასე ვთქვათ გაკვეთილზე ‘’დროის გაყვანაზე’’ აღარ უფიქრიათ.

გამოკითხვის შედეგებით გავარკვიე, რომ გაკვეთილზე პირველი 5 წუთი არ მუშაობდა მოსწავლეთა 15%.



პირველი 10 წუთი არ მუშაობდა მოსწავლეთა 10 %



ბოლო 5 წუთი არ მუშაობდა 15 %.



ეს ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ საგაკვეთილო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა ძალისხმევის გამოყენებით უნდა მოხდეს მოსწავლეთა დაინტერესება, ჩართულობა, მაქსიმალურად უნდა იყოს ქცევის წესები დარეგულირებული, რომ გაკვეთილი ეფექტიანად, შედეგიანად ჩატარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელმა რაც არ უნდა სწორად გაანაწილოს დრო გაკვეთილზე თუ არ არის მოსწავლეთა მზაობა მაღალ დონეზე გაკვეთილი შედეგს ვერ გამოიღებს.

მოსწავლეების სარგებელი არის მათი დაინტერესება, მოტივაცია, ცოდნის მიღების სურვილი და დადებითი შედეგები, პროცესის გამჭირვალობა.

ზარალი იყო, ის რომ როცა გაკვეთილი მიმდინარეობს მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომით მოსწავლე პასიურ მდგომარეობაშია. მიმდინარეობს ლექციური სახის გაკვეთილი, მოსწავლე არ არის მობილიზებული, თავს იჩენს ქცევის პრობლემები და გაკვეთილზე დრო იხარჯება არაეფექტურად.

დასკვნა

დროის ეფექტურად მართვას მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებისა და მონაწილეობის გარეშე ვერ შეძლებს, ამიტომ იგი უნდა შეეცადოს, აქტიურად ჩააბას მოსწავლეები ამ პროცესში დისკუსიის, კითხვარების და სხვადასხვა სახალისო აქტივობის საშუალებით. თავისი ქმედებითა და გაკვეთილის ეფექტური დაგეგმვით მასწავლებელი თავად უნდა იძლეოდეს დროის ეკონომიურად გამოყენების მაგალითს. მოულოდნელ სიტუაციებში მასწავლებლის მთავარი ამოცანაა, მინიმუმამდე დაიყვანოს ამ სიტუაციით გამოწვეული არეულობა და უმოკლეს ხანსი ისევ გადაიტანოს მოსწავლეთა ყურადღება სამუშაოზე.

ჩემი თვალთახედვით შედეგის მომტანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშემწყობი ფაქტორების გათვალისწინება:

- მოსწავლის თვითრწმენის ხელშეწყობა, გარკვეული წინაღობების დაძლევა, შეცდომებზე სწავლა;
- დამოუკიდებლად სწავლა;
- თანამშრომლობის უნარი;
- რწმენა იმისა, რომ მოსწავლეს გააჩნია საკმარისი კომპეტენცია მიზნის მისაღწევად.

მთლიანობაში სწავლის ფილოსოფია უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, მაგალითად, ახალი მასალის ახსნისასაც კი, როცა მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასანახია, უკეთესია, მივმართოთ ინდუქციას (მასწავლებლის მიერ შერჩეულ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეები თვითონ აკეთებენ დასკვნას) და არა დედუქციას (მასწავლებლის მიერ მნიშვნელობებისა და წესების ახსნას).

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა ეფექტურია, რაც მეტნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეფექტურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და მათი შესაძლებლობების სრულად და ეფექტურად გამოვლენას. მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ ახალი სასწავლო წლიდან კვლავ გავაგრძელო ამ მიმართულებით მუშაობა, შეძენილი ცოდნა გადავცე ჩემს მოსწავლეებს.

ლიტერატურის ანალიზზე და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია საკითხების შემდეგნაირი შეჯამება: მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის განვითარების დონე, კოგნიტური განვითარების ეტაპები, ლინგვისტური, სოციალური, ემოციური ფსიქოლოგიური არეალები. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რის მიღწევას ელიან მოსწავლეები სასწავლო კურსის დასრულებისას, წინასწარ განსჭვრიტოს დაბრკოლებების წარმოშობის მიზეზი, უზრუნველყოს მოსწავლეების ჩართულობა, შეარჩიოს ყველა მოსწავლეზე მორგებული შეფასების მექანიზმი. მოსწავლეთა მოთხოვნილებების ანალიზი ეხმარება მასწავლებელს, გამოიყენოს საკითხის მრავალმხრივი ახსნა-განმარტება, ის ასევე იძლევა შესაძლებლობას, პედაგოგმა უხელმძღვანელოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, არეგულიროს დისციპლინური საკითხები, ხელი შეუწყოს ყოველი მოსწავლის წარმატებებს და დროის დანაკარგი მინიმუმამდე დაიყვანოს. აკონტროლოს დროის მენეჯმენტი. ეს ყოველივე შესაძლებელია მასწავლებლის მზაობით მუდამ ზრუნავდეს თავის პროფესიულ

განვითარებაზე. პროფესიულ განვითარებას განიხილავდეს, როგორც უწყვეტ პროცესს და არა როგორც ერთჯერად ღონისძიებას.

რეკომენდაციები

ინტერვენციების შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე რეკომენდაციები პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და შესაბამისად მოსწავლეთა ჩართულობას გაკვეთილზე და მასწავლებლის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის, რაც გულისხმობს ჩასატარებელი აქტივობების დროში „ჩატევას“ და შედეგზე გასვლას. წარმატებული დაგეგმვის წინაპირობაა რელევანტური მიზნის დასახვა. მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკვეთილის სულ სხვადასხვა სტილით დაგეგმვა. მნიშვნელოვანია ”მოქნილი გეგმის“ შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს მისი მოდიფიცირება მოსწავლეების არჩევანის გათვალისწინებით.

დროის მართვა გაკვეთილის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი დეტალია. განსაზღვრა იმისა, თუ რა დრო დასჭირდება კონკრეტულ აქტივობას, დამოკიდებულია

მოსწავლის ასაკზე, აქტივობების სირთულეზე (აქტივობების ინსტრუქციების ახსნა, განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შეცდომების გასწორება).

შეუძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ ზუსტად განსაზღვროს კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო დრო ან ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის გადაიზრდება დისკუსია მეტად აქტიურ და საინტერესო ფაზაში, რომ მისი რეალიზაციისათვის საჭირო გახდეს დამატებითი დრო (ანუ გეგმით გათვალისწინებული დრო არასაკმარისი რომ აღმოჩნდეს). ამიტომ გაკვეთილის გეგმის წერისას, მასწავლებელი მუდამ აღნიშნავს ყოველი აქტივობისთვის განკუთვნილ სავარაოდო დროს, მაგრამ ისე გაანაწილებს დროს, რომ გაკვეთილის ბოლოს შეაჯამოს ძირითადი ინფორმაცია და უპასუხოს მოსწავლეებს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, ისევ და ისევ იმ მიზნით, რომ მოხდეს დროის „გაფლანგვის“ მინიმუმამდე დაყვანა და დროის ნაყოფიერად გამოყენება.

აღნიშნული პრობლემის არმოფხვრას შევეცადე წინამდებარე კვლევაში განხორციელებული მეთოდების საშუალებით. ვფიქრობ, ჩემ მიერ გადადგმული ნაბიჯები ხშირ შემთხვევაში შედეგიანი იყო.

რეფლექსია

კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული შედეგები გავუზიარე კოლეგებს პრეზენტაციის სახით, რაც ძალაინ საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. მათ დაადასტურეს, რომ საკვლევი პრობლემა იყო მართლაც აქტუალური. დაინტერესდნენ შედეგებით. პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, საინტერესი იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ, რა გზებით თუ სტრატეგიებით არის შესაძლებელი დროის ეფექტურად განაწილება საგაკვეთილო პროცესში მაღალ კლასებში. მივიღე საინტერესო რჩევები, რასაც გავითვალისწინებ მომავალ საქმიანობაში.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვენციები, რაც გამომდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებიდან აშკარაა და სასურველია ამ მიმართულებით კვლავ გავაგრძელო მუშაობა. მივიღე დადებითი უკუკავშირი.

კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგებთან დაეხმარება მათ თვითონ აწარმოონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე შეიმუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები.

მე, როგორც მკვლევარი პედაგოგი მოხარული ვარ, რომ შევძელი და ვაწარმოე პედაგოგიური კვლევა, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პრაქტიკული კვლევა მკვლევარს, ამ შემთხვევაში მასწავლებელს ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაში, უვითარებს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს, იზრდება თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და ხდება გამოცდილების გაზიარება. მკვლევარი თავად პოულობს პრობლემების გადაჭრის გზებს და ყოველი დაბრკოლების გადალახვა მისი პროფესიული ზრდის წინაპირობა ხდება.

დანართები

დანართი № 1

მასწავლებლის ინტერვიუ

საგანი:

მასწავლებელი (სახელი/გვარი):

1. თქვენი აზრით რა სიხშირით არის ეფექტური გაკვეთილების დაგეგმვა? (ყოველდღე, კვირაში, თვეში, ტრიმესტრში ერთხელ)

2. თქვენი აზრით რა არის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს დაგეგმვისას?

3. რატომ არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის დროის სწორად მართვა?

4 როგორ უნდა გამოიყენოთ საგაკვეთილო დრო ეკონომიურად?

5. რა შედეგი შეიძლება მოყვეს გაკვეთილის დროის არაეკონომიურად ხარჯვას?

6. რა ხერხით შეიძლება წავახალისოთ მოსწავლეები, რომ გაკვეთილის დრო უსარგებლოდ არ დახარჯონ?

7. როგორ უნდა ვიმოქმედოთ გაუთვალისწინებელ სიტუაციებში დროის კარგვის მინიმუმამდე დასაყვანად?

8. როგორ უნდა ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს გაკვეთილის დროის ეფექტიანად გამოყენების ჩვევა?

9. რამდენად ხშირად გიწევთ გაკვეთილის მსვლელობისას გეგმისგან გადახვევა?

10. თქვენი აზრით რა სირთულეები ან ძლიერი მხარეები აქვს სწავლების სხვადასხვა ფორმას?
ინდივიდუალურს/ჯგუფურს - მუშაობა წყვილებში, მცირე ჯგუფებში და სხვ.

11. რა სტრატეგიებს მიმართავთ ხოლმე იმისთვის, რომ ყველა მოსწავლე ჩართოთ საგაკვეთილო პროცესში?

12. რა გზებით არეგულირებთ მოსწავლეების ქცევას

13. რამდენად ხშირად აფასებთ თითოეულ მოსწავლეს?

14. თქვენი აზრით რომელ კრიტერიუმს აქცევენ მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას?

15. რა გზებით ხდება კლასში მოსწავლეების მიერ კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემის გარემოს ჩამოყალიბება?

დანართი № 2

გაკვეთილზე დაკვირვების ანკეტა

კლასი:

საგანი:

მასწავლებელი (სახელი/გვარი):

დაგეგმვა

1. **რამდენად ჩანდა, რომ გაკვეთილი წინასწარი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა?**

1. დიახ. 2. არა 3. ნაწილობრივ.

2. **იყო თუ არა გაკვეთილი სხვადასხვა ეტაპად/აქტივობად დაყოფილი?**

2. დიახ. 2. არა 3. ნაწილობრივ.

3. **რამდენად მსგავსი/განსხვავებული აქტივობები შესთავაზა მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთ გაკვეთილზე?**

1. მსგავსი 2. განსხვავებული 3. არაადეკვატური

4. **შეესაბამებოდა თუ არა მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებს განკუთვნილი დრო?**

1. დიახ. 2. არა 3. ნაწილობრივ.

სწავლების ტექნოლოგიები

5.**სწავლების რა ფორმა გამოიყენა პედაგოგმა გაკვეთილის ჩატარების დროს აქტივობების განხორციელების ეტაპზე?**

ინსტრუქცია (სასურველი პასუხი მონიშნეთ X-ით)

პასუხი	პასუხი მონიშნეთ X-ით
1. *ინდივიდუალური*	
2. *ჯგუფური მუშაობა*	
3. *მუშაობა წყვილებში*	
4. სხვ.	მიუთითეთ:

1. **რამდენად ითვალისწინებდა მასწავლებელი მოსწავლეების სწავლის სტილებს (აუდიო, ვიზუალურ, ტაქტილურს და სხვ.)**

7. რამდენი ბავშვი იყო აქტიური გაკვეთილის დროს?

1. მოსწავლეების უმეტესობა
2. თითქმის ყველა მოსწავლე
3. მოსწავლეების 50%
4. მოსწავლეების 50%-ზე ნაკლები
5. რამდენიმე მოსწავლე

8. დროის რა ნაწილს ხარჯავს მასწავლებელი მოსწავლეების ქცევის დასარეგულირებლად?

9. რამდენად ჩანდა, რომ მასწავლებელი იყენებდა შეფასების რუბრიკას?

1. დიახ. *2. არა* *3. ნაწილობრივ.*

10. იყო თუ არა ცნობილი მოსწავლეებისათვის შეფასების კრიტერიუმი თითოეული აქტივობის დაწყებამდე?

1. დიახ. *2. არა* *3. ნაწილობრივ.*

11. გამოითქვა თუ არა მოსწავლეების მხრიდან შეფასებისადმი უკმაყოფილება?

1. დიახ. *2. არა*

12. რამდენად იყენებდა მასწავლებელი პოზიტიური განმტკიცების მიდგომას/ რამდენად მიანიშნებდა მასწავლებელი მოსწავლეებს იმაზე, რაც მათ კარგად გამოსდიოდათ?

13. დროის რა მონაკვეთი დაეთმო შეფასების ნაწილს?

სკოლის კულტურა

14. რამდენად კეთილგანწყობილი გარემო იყო კლასში? რამდენად ჩანდა მოსწავლეების მხრიდან ურთიერთპატივისცემა?

აღწერეთ მოსწავლეების ქმედება თქვენი რაც თქვენი მოსაზრების მტკიცებულებებად გამოდგება

15. რამდენად უწყობს სწავლას ნანახი საკლასო სივრცე?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება

16. რამდენად იყვნენ მოსწავლეები მოტივირებულები?

აღწერეთ მოსწავლეების ქმედება თქვენი რაც თქვენი მოსაზრების მტკიცებულებებად გამოდგება

შთაბეჭდილებების შეჯამება

17 რამდენად ეფექტური იყო გაკვეთილი / რამდენად აღწევდა მასწავლებელი თავის მიზნებს?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება

18. რა ძლიერ და სუსტ მხარეებს გამოყოფდით ნანახ გაკვეთილში?

დანართი № 3

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

გაიაზრეთ დღევანდელი გაკვეთილი და შეეცადეთ გულწრფელად უპასუხოთ შეკითხვებს:

1. გაკვეთილი გრძელდება ---------- წუთი
2. ჩემი აზრით მე დღეს უსარგებლოდ დავხარჯე ---------- წუთი
3. აღნიშნე ის პუნქტები, რომელსაც ეთანხმები:

მე არ ვმუშაობდი _____

- პირველი 5 წუთი
- პირველი 10 წუთი
- ბოლო 5 წუთი
- დამოუკიდებელი წერის დროს
- როცა სხვები ტექსტს კითხულობდნენ
- დისკუსიის დროს
- ჯგუფური მუშაობისას
- სხვა (თავად დაამატე) ----------

4. დღეს მე კარგად ვიმუშავე, როცა ----------

5. ძალიან ადვილად მეფანტება ყურადღება, როცა ----------

6. დროს უკეთესად გამოვიყენებ თუ ----------

7. მასწავლებელს ვურჩევდი----------

დანართი № 4

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

1. გაკვეთილი კარგად იყო ორგანიზებული **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
2. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, ქსეროასლები, დამატებითი საკითხავი) იყო საინტერესო 3. **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
4. ეს გაკვეთილი დამეხმარა საგნის უკეთ აღქმაში **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
5. მასწავლებლის შეფასება იყო სამართლიანი **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
6. ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს მასწავლებელი ობიექტურად აფასებდა და მეხმარებოდა შეცდომების გაანალიზებაში **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
7. გაკვეთილი იყო რთული **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
8. საშინაო დავალების მოცულობა იყო ძალიან დიდი **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
9. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ეპყრობოდა პატივისცემით **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
10. მოსწავლეები პატივს სცემდნენ მასწავლებელს **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
11. მასწავლებელი ზედმეტად მკაცრი იყო **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
12. გაკვეთილი იყო სახალისო **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
13. გაკვეთილს მაღალ შეფასებას ვაძლევ **კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**

დანართი № 5

მოსწავლეთა კითხვარი (ფოკუს ჯგუფი)

1. როგორი მოსწავლე გინდათ რომ იყოთ?
2. რით შეაფასებდით მასწავლებელს?
3. მოგწონთ თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმა (შეფასების სისტემა,მე-12 კლასი,გამოცდები და სხვა)
4. მკაცრად უნდა იცავდეს თუ არა მოსწავლე ქცევის კოდექსს სკოლაში და რომელი პუნქტებს ანიჭებთ უპირატესობას?
5. მოსწავლის ქცევის წესები და გაკვეთილი რა ურთიერთკავშირშია?
6. რა რჩევებს მისცემდით მასწავლებელს როგორ უნდა დარეგულირდეს მოსწავლეების ქცევა?
7. როგორ დაგეგმავდით თქვენ გაკვეთილს, როგორც საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლე?
8. როგორ გესმით ეფექტური სასწავლო გარემო?
9. რითი დაიწყებდით გაკვეთილს?
10. რა აქტივობას უფრო მეტ დროს დაუთმობდით?
11. რატომ 'იფლანგება' გაკვეთილის პირველი 5 წუთი თქვენი უმრავლესობის აზრით? რა მოვიმოქმედოთ?
12. ასრუ;ლებთ თუ არა ყოველთვის საკლასო აქტივობებს?
13. ასრულებთ თუ არა საშინაო დავალებას?
14. რა სირთულეებს აწყდებით საშინაო დავალების შესრულებისას და რატომ?
15. რა არის მიზეზი საშინაო დავალების ხშირად შეუსრულებლობისა?
16. რამდენად განაპირობებს სახელმძღვანელო აქტივობებს, რომელსაც გაკვეთილზე ვასრულებთ?
17. თქვენი აზრით რა სირთულეები ან ძლიერი მხარეები აქვს სწავლების სხვადასხვა ფორმას - ინდივიდუალურს/ჯგუფურს- მუშაობა წყვილებში, მცირე ჯგუფებში და სხვა? რომელი მოგწონთ?
18. რამდენად ხშირად უნდა შეფასდეს მოსწავლე და რომელ კრიტერიუმს აქცევთ მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას?
19. ცნობილი უნდა იყოს თუ არა მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმი შეფასების დაწყებამდე?
20. რა გზებით უნდა ხდებოდეს კლასში მოსწავლეების მიერ კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემის გარემოს ჩამოყალიბება?
21. უნდა ითვალისწინებდეს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეთა სურვილებს და შენიშვნებს?
22. თქვენი აზრით რა უნდა გააკეთოს სკოლამ/მასწავლებელმა იმისთვის, რომ მოსწავლეების მოტივაცია აამაღლოს?

გამოყენებული ლიტერატურა

1. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ -tpdc.ge 2011;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, ელექტრონული ვერსია http://ncp.ge;
3. „სამოქმედო კვლევა“. სახელმძღვანელო მკვლევარი მასწავლებლებისთვის ჯეფრი ი. მილსი;
4. კანონები განათლების შესახებ;

http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

5. „სასწავლო და პროფესიული გარემო“. დამხმარე სახელმძღვანელო III. 2008.
6. „ეფექტური სწავლება“. თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი. კვლევის დეპარტამენტი. 2010;
7. „კლასის მართვა“. რობერტ ჯ. მარზანო. იანა ს. მარზანო. დებრა ჯ. ფიქერინგი;
8. ''ეფექტური სწავლება სკოლაში''. მარზანო რ.ჯ. ფიქერინგი და ჯ. ი. ფოლოქი. 2009. თბილისი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
9. Kargiskola.ge სესია 4. შეფასების ნაყოფიერი სისტემა დიფერენცირებული სწავლებისას. http://kargiskola.ge/GC/watch.php?id=129
10. ინტერნეტ გაზეთი mastsavlebeli.ge 12.09.2014. ვერიკო ხელისუფალი http://mastsavlebeli.ge/?p=1901
11. პედაგოგიური სქემის გზამკვლევი. ნაწილი II;
12. დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა კლასში. ცვატა ბერძენიშვილი. 25.02.2016. http://mastsavlebeli.ge/?p=9182
13. საკლასო მენეჯმენტი. ცვატა ბერძენიშვილი. 29.01.2016. http://mastsavlebeli.ge/?p=7137
14. პედაგოგირი პრაქტიკის კვლევა, თემას გამოცდილება გვკარნახობს. ნინო კაპანაძე. 1.07.2016. http://mastsavlebeli.ge/?p=10746
15. სადოქტორო დისერტაცია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ნონა ქერდიყოშვილი. თბილისი 2014.
16. სამაგისტრო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. განათლების ადმინისტრირების პროგრამა. ნინო გოგიჩაიშვილი, მეგი ხუნაშვილი, თეა გაგუა. თბილისი 2014.
17. როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი. სოფიკო ლობჟანიძე. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf